წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 30 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადებ[illegible]: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ... 15 ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 497 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, № 497

ქვრივი პრაპორჩიკისა ოლღა ფილიპე ჭეიშვილის ასული გოგავასი, შვილი მისი თამარა, კოლეჟსკი ასსესორი ერმალო ნიკოლოზის ძე გოგავა, მეუღლე მისი ნატალია ბესარიონის ასული, შვილნი მათნი: ლიუბა, კოლია, მიშა, ნადია და ვერა, სიძე ვლადიმერ ბეკოს ძე ღემურია, რძალი ნინა მიხეილ ლალიაშვილის ასული და ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული ხოტივრისა. მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ—პირველი დაუვიწყარის და ძვირფასის მეუღლისა, მეორენი საყვარელი შვილისა, მესამენი ძმისა, მეოთხე ცოლის ძმისა, მეხუთე მაზლისა და უკანასკნელი შვილის-შვილის, გმირულად დაღუპვას 30 ივნისს ოსმალეთის ფრონტზე პრაპორჩიკის

## დავით ერმალოს ძის გოგავასას,

რომლის ცხედარი უკვე მოასვენეს პოზიციიდან ქუთაისში 27 ამ თვეს. გამოსვენება ბინიდან მოხდება ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს ქუთაისის სასაფლაოს მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, საკუთარი სახლი, რუბანის ქუჩა. ცალკე წერილები არ დარიგდება.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ოთხშაბათიდან, 28 ნოემბრიდან ფრიად საინტერესო პროგრამა.

გულთან ხუმრობით, გული გაგმირა

ძლიერი დრამა 5 ნაწილად, კარამანოვისა და პანოვის მონაწილეობით.

ძლიერ სახუმარო | იმის თავგადასავალი | ძლიერ სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

საინჟინერო ჯარის მუშაობა სამხედრო ნამდვილიდან.

2 სერია

მშობლიურ ოლგას დაუოლებით

დრამა 4 ნაწილად ჩაროვისა, პანოვისა, ვალევსკისა და რიმსკის მონაწილეობით.

იუვნეულობის ტანჯვანი

კომედია 2 ნაწ. პრენსის მონაწ.

გებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობებ ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლებ ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

ქუთაისში დროებით

ჩამოვიდა თიხნარ ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი, აგრეთვე საგანგებოდ განსწავლული აგურისა და კრამიტის გამოწვა-გაკეთების საქმეში. ზედმიწევნით იცის აგრეთვე ყოველგვარ აგურხანების მოწყობის საქმეც. მისამართი: ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია“ № 10.

დოქტორი მედიცინისა

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ოთხშაბათიდან 28 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

ძლიერის სიმუხთლე

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. ესპერიისა და კარლო ბენეტის მონაწილეობით.

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები

იშვიათი გულადი

სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

საინჟინერო ჯარის მუშაობა

სამხედრო, ნამდვილიდან

პეტროგრადის ნამირალნი

2 სერია დრამა 5 ნაწ.

ქალის ოცნებანი კომედია

ქუთაისის სახელმწიფო

ხეხილის სანერგეში

იყიდება დამყნილი ხეხილები და სხვადასხვა ნერგები, მსურველთ კატალოგი გაეგზავნება უსასყიდლოთ.

მისამართი: წყალ-წითელას გაღმა, ქუთაისის ღესნიჩის კანტორა. ფოსტის: Въ Кутаисъ, Кутаисскому лѣсничему.

ქ. თფილისში დაარსდა

მელნის ქარხანა

„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.

### უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან

27 ნოემბერს

**პეტროგრადი** დასავლეთის ასპარეზი. დაბა პელიკანის მახლობლად, დრისვიატის ტბის სამხრეთით, გერმანელის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. დაცემის დროს საფრენი გადაბრუნდა და ცოტა დაზიანდა. მფრინავები და მეთვალყურე დავატყვევეთ. პომორჟანის სამხრეთით, სოფ. კონიუხის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მავთულების ხლართი გადალახა, უჩუმრად წაეპარა მოპირდაპირის სადარაჯოს, ზოგი დახოცა და რამდენიმე დაატყვევა. სვისტელნიკის მიდამოებში მზვერავთა ფიცხელი მოქმედებაა. ტყიან კარპატებში, იაბლონიკის სამხრეთით მდებარე მაღლობთან ბრძოლა დასცხრა. ჩვენი ჯარი თავისსავე თხრილებს დაუბრუნდა.

### კავკასიის ასპარეზზე

ცვლილება არ მომხდარა.

### რუმინეთის ასპარეზი.

ვალეპუტნის დასავლეთით და სამხრეთით მოპირდაპირეს შევუტიეთ, ორი მაღლობიდან გავდევნეთ და ხელთ ვიგდეთ 500-დე ტყვე, მათ შორის 10 აფიცერი. დავლადღაგვრჩა 6 ტყვიისმფრქვეველი, 2 ყუმბარის მტყორცნელი და 1 ზარბაზანი. სოფ. სულტის სამხრეთ-დასავლეთით 5 ვერსზე მოპირდაპირემ იერიშებით გვაიძულა წინადღით აღებული მაღლობი დაგვეტოვებინა. მდ. ჩებონიაშის ორსავ ნაპირას ჩვენი შეტევა გრძელდება. ვალახეთში მოპირდაპირე შეუჩერებლივ აწვება რუმინელების ჯარს, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იხევს. რუმინელების დახევის გამო მარცხენა ფრთაზე მყოფნი ჩვენი ჯარიც უკან იხევს.

28 ნოემბერი

დორნა-ვატრას ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მას მედგარი წინააღმდეგობას უწევს მოპირდაპირე. ტროტუშის, სულტის და ჩემონიაშის ველებში ჩვენი ჯარის წინ მიიწევს.

### კავკასიის ასპარეზი.

ქამადანის მიმართულებით მოპირდაპირემ ზარბაზნები დაუშინა ფურიჯინის მიდამოებს და შეჯგუფებული რაზმებით დაეშვენ ველად. აიღეს მარანსა და კურიანს შუა მდებარე ბორცვები.

### რუმინეთის ასპარეზი.

ბუზეო-პლოეშტის გზატკეცილზე რუმინელებმა შეუტიეს და მოპირდაპირის ჯარი მდ. გრიკოვულის გაღმა გადარეკეს

### საბერძნეთი.

**პარიზი.** გამოაქვეყნეს საბერძნეთის გარემოცვის თაობაზე გამოცემული დეკლარაცია: „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა, მოკავშირეთა თანახმობით, აცხადებს საბერძნეთის სანაპიროთა გარემოცვას. იწყება 1916 წ. 25 ნოემბრს დილის 8 საათიდან. მის ფარგლში შევა საბერძნეთის მთელი სანაპიროები და კუნძულები: ევბეი, ზანტე და სანტემარუა, აგრეთვე ყველა ის კუნძულები, რომლებიც საბერძნეთს ექვემდებარება ან საბერძნეთის მთავრობას უჭირავს. ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს თავისუფლად შეუძლიანთ ეს ფარგლები დასტოვონ 27 ნოემბერს დილის 8 საათამდე.

საზღვაო მთავარსარდალს განკარგულება აქვს მიცემული, ეს დეკლარაცია ადგილობრივ მთავრობას აცნობონ.

**ლონდონი.** ლლოიდ ჯორჯმა სამინისტროს შედგენა დაასრულა დღეს საღამოს. სამინისტროში შევიდნენ: ბონარლოუ—სამინისტროს კანცლერად, ბალფური—გარეშე საქმეთა მინისტრად, კარსონი—საზღვაო მინისტრად, დერბი—სამხედრო, ხენდერსენი—შრომისა, კერზონი—ინდოეთის საქმეთა, გრიფიტი—შინაგან საქმეთა, ბარნესი პენსიათა მინისტრად.

**ოდესა.** ცნობა მოვიდა, რომ სანამ მოპირდაპირე პრახოვის ველში ნავთიან ადგილებს ჩაიგდება ხელში, რუმინელებს ნავთის სამრეწველოები მთლად დაუნგრევიათ, მანქანები გაუფუჭებიათ, ნავთით და ბენზინით სავსე აუზები დაუწვიათ მორენსა, შუშტენსა, პლოეშტსა, ტორგოვიშტსა და სხვა ადგილებში. ამბობენ, ერთ წელიწადი მაინც დასჭირდება მტერს, რომ მცირეოდენი ნავთი ამოიღოს.

**ოდესა.** რუმინელების ცნობებით, მოპირდაპირეს რუმინეთის ასპარეზზე ჰყოლია სულ 1 მილიონი მეომარი. ამ ჯარს დიდძალი ზარბაზნები ჰქონია. უფროსებად მხოლოდ გერმანელები ჰყოლიათ.

**ოდესა.** ლტოლვილთა სიტყვით, ბუქარესტის დამხმობის წინა დღეებში მოპირდაპირის მფრინავები თავს ესხმოდნენ ბუქარესტიდან მიმავალ მატარებლებს. მატარებლების სიმცირის გამო, ბუქარესტიდან ლტოლვილი ხალხი მიდიოდა ურმებით და ქვეითადაც. საქმის ასაშურებლად მატარებლებით მგზავრებს და ბარგს უშიშარ სადგურებამდე ეზიდებოდნენ და იქ სტოვებდნენ, რომ გამობრუნებულიყვნენ და ბუქარესტიდან ახლა სხვანი გაეყვანათ. ზომები მიიღეს, რომ სადგურებზე დატოვილი ხალხი და ბარგი ურმებით გაისტუმრონ გალაცსა და იასისაკენ.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: გერმანელების სავაჭრო გემი, უჩინრად შეიარაღებული შეუმჩნევიათ ატლანტის ოკეანეში 21 ნოემბერს საით მიემართებოდა გემი ვერ შეიტყვეს.

**იასი.** მეფის ბრძანებით რუმინეთის პარლამენტის სხდომები დეკემბრამდე გადაიდო.

23 ნოემბერს მტრის ჯარი უბრძოლველად შევიდა ბუქარესტში. ამავე დროს მოპირდაპირემ დაიპყრო პლოეშტიც მკვიდრთა უმეტესობა ადგილიდან არ დაძრულა, რადგანაც მთავრობამ განკარგულება მოახდინა, უგზოობისა, და გზაში უსურსათობის გამო, მცხოვრებნი ადგილობრივ დარჩენილიყვნენ. დაჭრილები საავადმყოფოებიდან ადრევე გადაიყვანეს მოლდავიაში. ამბობენ, სანამ ბუქარესტში მტერი ფეხს გესდგამდა, ააფეთქეს თოფხანა, ტყვია წამლის ქარხნები და სხვა სამხედრო დაწესებულებანიო.

**ჰააგა.** გერმანელებმა დაატყვევეს ჰოლანდიის გემი „კალედონია“, რომელიც ბამბით იყო დატვირთული და ინგლისისაკენ მიემართებოდა.

**ოდესა.** ლტოლვილთა სიტყვით, რუმინეთის დედოფალი 19 ნოემბერს გავიდა ბუქარესტიდან. ბოლო დრომდე ბუ-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** დორნავატრას ახლო მახლო მედგარი ბრძოლები გრძელდება. განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი მიიღეს ბრძოლები ამ ადგილას ჩრდილოეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.** საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს ზოგიერთ ადგილებში.

**იტალიის ასპარეზი** ჩვეულებრივი ხასიათის მცირე ბრძოლები ხდება.

**რუმინიის ასპარეზი.** ბუზეო პლაეშტის გზატკეცილზე რუმინელები შეჩერდნენ. შეუტიეს გერმანელებს და რამდენადმე უკან დაახევინეს. რუმინელებმა მოწინაალმდეგეს რამდენიმე ზარბაზანი და ტყვეები წაართვეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ქამადიანის მიმართულებით საარტილერიო სროლის შემდეგ შემოტევა იწყეს; მაგრამ რუსებმა დროით შეაჩერეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** საბერძნეთის გამოურკვეველ პოზიციის გამო გენ. სარაილის ჯარმა აქტიური მოქმედება თითქმის სრულიად შესწყვიტა

ქარესტში დარჩა ქალაქის დაცლის ხელმძღვანელი საზოგადო სამუშაოთა და გზათა მინისტრი ანჟელესკუ. მატარებლების წესიერი მიმოსვლა 20 ნოემბერს სწარმოებდა, მერე შემთხვევითი მატარებლები თუ გადიოდა ბუქარესტიდან. ქალაქის დაცლის ფაცა-ფუცის დროს ბუქარესტში მოვიდნენ გერმანელების მოტრფიალე კარპი და მარგილომანი. ზოგიერთის აზრით, მათ განზრახვა ჰქონდათ თავისი გავლენა მოეხდინათ გერმანელებზე და ეთხოვათ, ბუქარესტს ნუ დაანგრევთ, კარაევოსა და ჟურჟევოსავითაო. ხმა დადის, კარპს გერმანელების ბუქარესტის ქალაქის მოურავად ჰნიშნავენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ათინიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობას 70 ათასიან სათადარიგო ჯარის მობილიზაცია მოუხდენია

— იანინაში რეზერვისტები ვენიზელოსის მომხრეების დატუსაღებას განაგრძობენ. გერმანიის მთავრობამ თავის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა ჰოლანდიის ელჩის მიანდო. ყველა უცხოელები პირეის ნავთსადგურიდან გასულან. ვაჭრობა შეწყვეტილია და ქუჩებში ბარიკადებია ილმართული მდგომარეობა დღე და დღე რთულდება თანდათან.

— ინგლისური „გასეთები იტყობინებიან, რომ საბერძნეთში ამ ჟამად დიდი მზადებაა მომავალ ომისათვის. იმ გარემოებას, რომ მეფე კონსტანტინემ აქამდე არ გამოუცხადა მოკავშირეებს შემდეგნაირად ხსნიან. გაზეთების აზრით კონსტანტინე უცდის იმ დროს, როდესაც რუმინიის ბრძოლები გათავდება და მაკენზენი ასი ათასიანი ჯარით მონასტრისაკენ წამოვა. მანამდე კი მეფე მეთოდიურად, ნელ-ნელა მაგრამ შეუწყვეტლივ მობილიზაციას ახდენს.

— საბერძნეთის პროვინციაში რეზერვისტები კალიასავით მოსდებიან ვენიზელოსის მომხრეთა სარჩო-საბადებელსა, რომელსაც სწვავენ, ანადგურებენ და ერთიანად ანიავებენ. ასე მაგალითად ლარისაში და ვოლოსში ვენიზელოსისტების სავაჭროები სულ დაუნგრევნიათ.

— ფრანგული გაზეთები წინადადებას აძლევენ მთავრობას საბერძნეთის ჩრდილოეთი ნაწილი სერბეთის საზღვრამდე უეჭველად დაიპყრონ, რომ ამით საბერძნეთს გერმალებთან პირდაპირი მიმოსვლის საშუალება წაართვან.

— **რუმინია.** ოდესიდან მოსულ ცნობების მიხედვით რუმინელებს ბუქარესტიდან თავის დროზედ გამოუტანიათ ხაზინა არხივები და ბანკები.

— რუმინიის პარლამენტი 26 ნოემბერს იასსაში უნდა შეკრებულიყო, მაგრამ დეპუტატები არ შეყრილან და ამიტომ ვერც პარლამენტი გაუხსნიათ.

— დანიიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ იმპერატორ ვილჰელმსა და ავსტრიის იმპერატორ კარლოს პირველს. გერმანოფილური წრეები ამ თათბირს დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

— ბელგიელების შიდა გერმანიაში სამუშაოდ გაყვანის გამო ანტვერპენში უწესოება მომხდარა საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მისულა; 300 ბელგიელი მოუკლავთ და ბევრი გერმანელი ჯარის კაცი

— ლამანშში გერმანელთა წყალქვეშას ნორვეგიის ორი გემი კიდევ დაუღუპავთ ერთი მათგანი „ჰაგეზუნდი“ 1,200 წყალწყვისა ყოფილი, ხოლო მეორე „ლინდოე“ 6—7 ჯერ იმაზე დიდი.

— ომისდაწყებიდინ დღემდე გერმანელებს ნორვეგიის 242 გემი დაუღუპავთ. ამ გემების ღირებულება 125,700,000 კრონს უდრის.

— ავსტრიის მთავრობას ჩერნოგორიაში გამოუცხადებია, რომ მომავალში მცხოვრებნი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ სურსათს, თუ ისინი მთელ თავის იარაღს სპილენძს და რკინეულებას მთავრობას გადასცემენო.

— სამხედრო ავტორიტეტები ტყიან კარპატებში ატეხილ ბრძოლების შესახებ შემდეგს ამბობენ: „უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბი პუტნას მიდამოებში რუსების გამარჯვებას გვატყობინებს, თუმცა მთელი ქვეყნის ყურადღება ამ ჟამად რუმინიაზეა მიქცეული, მაგრამ მიუხედავად იმისა მდ. ტროტუშისა, სულცისა და ჩებონიაშოს ველებზე ჩვენს წინსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო მდგომარეობისათვის.“

## სამხედრო მიმოხილვა

გერმანელების ომის წარმოებას ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს.

საერთოთ გერმანელებმა ამ ომის განმავლობაში სტრატეგიისა და ტაქტიკის ბევრი მუხლი შესცვალეს და სრულიად ახალი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ხოლმე.

გერმანელები არას დროს რომელიმე ოპერაციას ბოლომდე არ მიიყვანენ ხოლმე. დაჰკრავენ ხოლმე მოწინაალმდეგეს ძალუმად შეიტანენ ხოლმე მოწინაალმდეგის ჯარში და ჯარის ზურგს უკან დეზორგანიზაციას და მაშინვე დაპყრობილ პოზიციების გამაგრებას უდგებიან.

ოპერაციის სალიკვიდაციოდ, დასამთავრებლად შედარებით ძალიან მცირე ძალებს სტოვებენ და მაშინვე, ვიდრე ერთი ოპერაცია თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივიდოდეს, მეორე ასპარეზით მოქმედებისათვის იწყებენ მზადებას.

ასე იყო მაგალითად შარშან; ჯერ გალიციიდან დაწყებული შეტევა დასრულებული არ იყო, რომ სერბეთის ასპარეზზე აუარებელ ჯარსა და იარაღს მოუყარეს თავი.

მეორე მაგალითი: ჯერ სერბეთის აღება არ იყო დასრულებული, რომ ვერდენთან დაიწყეს დიდი ბრძოლები.

ამიტომ საფიქრებელია, რომ ეხლა, თუმცა რუმინიის ოპერაცია დასრულებული არ არის, მაგრამ უკვე შეუდგებოდნენ სხვა ასპარეზით შეტევისათვის.

სად და რა სახით დაიწყებენ—ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

შვერედი.

## ქ. ქუთაისი 30 ნოემბერი.

**ქართული ენის გადაგვარება.** „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცესო“, სთქვა გრიგოლ ორბელიანმა. მართლაც, ერის დაცემასა და ენის წახდენას შორის მჭიდრო კავშირია. იმავე დროს, ჩვენი ცხოვრება რომ ამ თვალთახედვით განვიხილოთ, ბევრს არასანუგეშო მაგალითს დავინახავთ.

სახლს როცა ცეცხლი უკიდია, იძახიან: „პაჟარიო“; სასამართლოში თუ ვისმე ქადალდი შეუმოწმებია, ამბობს: „სპრავკა მოვახდინეო“; „განაჩენს“ „პრიღოვორს“ უწოდებენ, „აღმასრულებელ ფურცელს“ „ისპოლნიტელნი ლისტს“ და სხ. მეეტლეს „ზანიატი“ უკეთ ეყურება, ვიდრე „არა მცალია“, „ნალევო-ნაპრავო“ უკეთ, ვიდრე „მარცხნით და მარჯვნით“. გზას რომ გასწავლიან, გეუბნებიან: „პრიამთ წადი და პრაულკში შეუხვიეო“ (ე. ი. სწორად წადი და გადასახვევში შეუხვიეო). ხაშურ მარილს „სოლის მარილს“ ეძახიან, კანონს—„ზაკონის კანონს“ და სხ.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ წყალი სათავეში იმღვრევა, ე. ი. ჩვენს გაზეთებს დიდი წილი უდევსთ ქართული ენის გადაგვარების ქმნადობაში. მაგალითად, სწერენ: „მე ვისარგებლე თავისუფალი დროთი“ (უნდა იწერებოდეს კი: მე კეთილად მოვიხმარე თავისუფალი დრო), „დავკმაყოფილდი“ (უნდა იწერებოდეს: დავსჯერდი, ვიკმარე), „არსებობისათვის ბრძოლა“ (უნდა იწერებოდეს: „არსობისათვის ბრძოლა“), „შევთანხმდით“ (უნდა იწერებოდეს: „მოვრიგდით“), „გეთანხმები“ (უნდა იწერებოდეს: გემოწმები) და სხ.

განვიხილოთ, მაგალითად, სიტყვა „არსობა“. იგი წარმოსდგება სიტყვისაგან: „არსი“, სრულიად კანონიერია და ძველ ლიტერატურაშიაც ხშირად გვხდება. „არსებობა“ კი უკანონო და იმავე დროს ყოველსავე აზრს მოკლებული ფორმაა.

გამოვიძიოთ სიტყვა: „შევეთანხმდები“, „შევთანხმდებით“, „შეთანხმება“ და სხ. ყველა ეს უკანონოდ წარმოებულია ფორმისაგან: „თანხმობა“. და „გეთანხმები“, „ვეთანხმები“ კი არ არის კანონიერი, არამედ: „თანაგხმობ“, „თანავხმობ“. ამის დასამტკიცებლად კმარა აღვნიშნოთ მსგავსი ფორმები: „თანაზიარება“, „თანაგეზიარები“, „თანავეზიარები“ (და არა „გეთანაზიარები“ ან „ვეთანაზიარები“). „შეგეთანაზიარები“ და „შევეთანაზიარები“ ხომ გადაგვარების უკიდურეს ფორმებს წარმოადგენს.

მაშ ქართულს უკეთ შეეფერება: „თანავხმობ“, „თანაგხმობ“ და სხ. მაგრამ ამ არაკეთილხმოვანი ფორმების ნაცვლად ქართული ენა უძველესი დროიდან ხმარობდა: „გემოწმები, ვემოწმები“ და სხ., „შეთანხმებას“ ნაცვლად კი—„მორიგებას“.

ამიტომ, ჩემი ფიქრით, სწორი, კანონიერი არ არის, როცა ამბობენ „შეთანხმების სახელმწიფონი“ და მის ნაცვლად უნდა იწერებოდეს: „მორიგების სახელმწიფონი“, ან კიდევ უმჯობესია: „მორიგებული სახელმწიფონი“, „ოთხთა მორიგება“ და სხ.

ერთი უკანონო ფორმაც აღვნიშნოთ კიდევ: „საგულისხმო“, რომელიც წარმოსდგება სიტყვისაგან: „გულისხმა“. კანონიერი იქნება: „გულისსახმო“, გულსახმიერო, „გულისხმიერი“ და სხ.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი სპეციალისტებთან, რომ ამგვარი საკითხების ძიებას მე, პუბლიცისტი და არასპეციალისტი, ვკიდებ ხელს. სამწუხაროდ, ჩემი საქციელი იძულებითია: სპეციალისტები თავის გამოძიებათა გამოქვეყნებას [illegible]ბენ, ჩვენ კი, ე. ი. [illegible]ლობის მუშაკთ, დღესვე გვჭირდება, [illegible]დენადაც შესაძლებელია, მართალი წერის კანონების ცოდნა. და, თუ კი სპეციალისტები ჩვენს შეცთომებს გაგვისწორებენ და დაგვანახვებენ, ძლიერ მადლობელი ვიქნები და თან ბედნიერი, მათს საჯარო გამოსვლას თუ თანშევეწევი.

ვასილ წერეთელი.

## მიზანი და საშუალება.

როგორც ვიცით, სლავიანთა ტომი დღეს 165 მილ. აღემატება. სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, სივრცისა, სულიერ თუ ნივთიერი კულტურისა და ზოგიერთ სოციალურ ვითარების მხრით ეს ტომი ერთ მთლიან ერთეულს არ შეადგენს. მაგალითად, აღმოსავლეთის სლავიანები ანუ რუსები, რომელიც განიყოფებიან სამ ჯგუფად, ველიკოროსებად, მოლოროსებად და ბელოროსებად, მრავალი სოციალური ხასიათის მოვლენებით განირჩევიან ერთიმეორისაგან: მათს ლიტერატურული რუსულ ენას გვერდს უმშვენებს, მათივე პროვინციალური კილოკავი. ასეთსავე პირობებში არიან სამხრეთის სლავიანებიც: ბულგარელები, სერბები, ხორვატები, სლოვენცები და აგრეთვე დასავლეთის სლავიანები, ჩეხები, მორავები, სლოვაკები, პოლონელები და კაშუბები. სახელმწიფოებრივ არსებობის მიხედვით ხომ სრულიად გათიშულნი არიან ერთ-მეორიდან: აღმოსავლეთის სლავიანებს მეთაურობს რუსეთის სახელმწიფო, ხოლო სამხრეთსა და დასავლეთში მცხოვრებთ, ზოგს საკუთარი მართვა-გამგეობა აქვს, ზოგი კიდევ ცენტრალური სახელმწიფოთა ქვეშევრდომათ ითვლება.

ამრიგათ, სლავიანთა ტომი ერთმეორისაგან გამოთავთავებულ ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ მიუხედავათ იმისა, გაძლიერებულმა რუსეთმა და პანსლავისტებმა მორიგ პოლიტიკად დაისახეს მისი ერთ მთლიან სოციალურ ორგანიზმად გადამუშავება.

ჯერ კიდევ 1825 წელს, გამოჩენილმა ფილოლოგმა გრიგოროვიჩმა ბალკანეთზე აღმოაჩინა სლავიანთა ტომის ახალი ჯგუფი,—ბოლგარელები, რომელნიც იმ დროს თავიანთ თავს ბერძნებათ სთვლიდენ. ეს გარემოება ცხოველმყოფელი შეიქნა პანსლავისტური რელიგიის სიტყვიერი, თუ პრაქტიკულ ქმნადობაში. რუსულ პატრიოტიზმს ძვალრბილში გაუჯდა მრავალ რიცხოვან ტომის გაერთიანების იდეა, და ამ იდეის გამსაღებლად გამოვიდა რუსეთი, თავისი ბიუროკრატიული პოლიტიკური იარაღებით.

ერთის შეხედვით, ისტორიის სარბიელზე თითქოს ისეთივე შემოქმედი და აქტიური როლი უნდა ეთამაშნა პანსლა-

## დაფნისი და ქლოია

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

**წიგნი მეოთხე.**

(იხ. „სამშობლო“) № 483

1. ბატონის გამოგზავნილი კაცი მოვიდა ლამონთან და აუწყა, რომ რთველში აპირებს ბატონი აქ გამომგზავრებას და დაწვრილებით გამოკვლევას, თუ რა ზიანი მიაყენა მათ მეტიმნიელთა თავ დასხმამ. ზაფხულის სიცხე-პაპანაქება გრილმა და საამო შემოდგომამ შეცვალა. ბატონის დასახვედრად ემზადებოდა ლამონი, სცდილობდა კი მოეწყო, რომ ყველაფერით კმაყოფილი დარჩენილიყო ბატონი: ამოწმენდილი წყაროები კამკამა ალმასივით მოსხივოსნობდნენ მწვანით შემოსილ ნაპირებ შორის, კარმიდამო დაასუფთავა, რომ ცუდი სუნი არა სცემოდა ბატონს, ბაღ-ვენახი შეალამაზა, რომ დამტკბარიყო სილამაზით.

2. მეფის შესაფერისი და არა ჩვეულებრივი რამ სილამაზის ბაღი იყო. მაღლობზე გაშენებული | სიგრძით მთელ სტადიაზე გადაჭიმულიყო და ოთხი პლეტრი სიგანე ჰქონდა გრძელ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. ყველა ჯიშის ხეხილი იყო გაშენებული: ვაშლი, მირტოსი, მსხალი, ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი. ვაშლმსხალის ტოტებში ჩახლართული ვაზის მტევნები მარჯან-მარგალიტივით გამოიცქირებოდნენ და ერთმანეთს ეჯიშპებოდნენ. მრავლად მოიძებნებოდა აგრეთვე ვერხვი, ბზა და ფიჭვი. მათს ტოტებზე ვაზის ნაცვლად ბაყვალი აკინძულიყო. ხეხილი მთლად ბაღის შუაგულში იყო მომწყვდეული, გარშემო კი სხვა ხეები ერტყა მთელ ბაღს კი ქვის ღობე იცავდა. თითოეული ხე თავისუფლად აზიდულიყო ცათ ერთი-მეორესაგან თანასწორ მანძილზე იყვნენ დაშორებული და ამიტომ ვერც სწვდებოდნენ ერთმანეთს; ზევით ერთდებოდნენ ტოტებით და ერთ შეხამებულ ოჯახს წარმოადგენდა მთელი ბაღი. ყველა ეს ბუნების შემოქმედება იყო და ადამიანს კი ხელოვნების ნაყოფი ეგონებოდა, ისე იყო ყველაფერი შეგუებული. ყვავილიც ბევრნაირი მოიძებნებოდა: ერთნი თავისით ხარობდენ, სხვანი ადამიანის მზრუნველმა ხელმა მოაშენა. განსაკუთრებული ყურადღებით ზრუნავდა მებაღე ვარდსა, სუმბულსა და შროშანზე; ია, ნარგიზი და სხვა მრავალნი კი თავისით იზრდებოდნენ. ზაფხულში საგრილობელს წარმოადგენდა ბაღი, გაზაფხულზე—წალკოს შემოდგომაზე ყოველგვარ ნაყოფის აუარებას და მთელი წლობით კი თვალ წარმტაც რამ გრძნეულ სანახაობას.

3. ხეებ შუა, შორს დაცემულ ველზე თხისა და ცხვრის ფარა და მწყემსები მოსჩანდნენ. თვალსა ხიბლავდნენ ცისფერი ზღვა და აფრა გაშლილი ხომალდები, რომელნიც უფრო ამშვენებდნენ და ალამაზებდნენ ამ მიდამოებს. ბაღის შუაგულში-ჯვარედინზე-თავისი სამსხვერპლოთი ბახუსის ტაძარი ეგდოთ. საკურთხევლის მარმარილოს ბაყვალი აჰყოლოდა; სვეტებს კი ვაზი შემოხვეოდა და შეყვარებულივით გულში ჩაეკრა. კედლების შინაპირზე ხელოვანს ბახუსის გმირობანი აღენიშნა, მშობიარე სემელა, მძინარე არიადნა, შებოჭვილი ლიკურგოსი, მშობელი დედის და ლვიძლი დების გულ დაფლეთილი პენტეოსი. აქვე იხილავდით ინდოელთა დამარცხებას, ტირენიელ მეზღვაურთა სახეცვლილობას, ყურძნის მტერ სატიროსთ, მოცეკვავე ვაკხანელთ. არც პანი დაევიწყებინა მხატვარს: მაღალ ბორცვაზე გადმომჯდარი, თხის ფეხიანი სალამურს უკრავდა; სატიროსნი ზანტად დაბაჯბაჯებდნენ, ხოლო ვაკხანელონი ჰაერში დასცურავდნენ ფეხის ფრჩხილებზე.

4. აი რას წარმოადგენდა ლამონის ბაღი. დიდ გულმოდგინებით ზრუნავდა მაზე, ასუფთავებდა ხმელი ბალახ ბულახისა და ტოტებისაგან, თვალისჩინივით უფრთხილდებოდი ვაზებს და ყვავილებით რთავდა ბახუსის ქანდას. დაფნისის მიერ შემთხვევით ნანახი წყარო ასაზრდოვებდა ყვავილნართ. თუმცა დაფნისის წყაროს უწოდებდნენ, მაგრამ „ყვავილთა წყაროს“ სახელი უფრო შეეფერებოდა. ლამონმა უბრძანა კარგად დაესუქებინა თხები, რომ შეიძლება მათი ნახვაც მოესურვილებინა ბატონს. ხოლო დაფნის სულ არ აფიქრებდა ეს გარემოება: დარწმუნებული იყო, მადლობას გადუხდიდნენ, რადგან სულ პატარა დროს განმავლობაში ერთი ორად გაზარდა თხათა რიცხვი. არავითარი ზიანი არ მიუყენებია მათთვის მგელს და ცხვრებზე ბევრად მსუქნად გამიყურებოდნენ. მაინც რომ ქლოიაზე ჯვრისწერის ნებართვა გამოეტყუა ბატონისთვის, რომელზეც იყო დამოკიდებული მათი ბედნიერება მთელ ყურადღებასა და შრომას თხათა მოვლა-პატრონობას ანდომებდა: ჩვეულებრივზე ადრე მიერეკებოდა საძოვრად და გვიან ბრუნდებოდა სახლში. დღეში ორჯელ ასმევდა წყალს და საუკეთესო და ნოყიერ ადგილებს ეძებდა. ახალი საწველები შეიძინა—ფიჭვის დიდრონი კასრები, ახალი ყველის სადედებელი, ზეთს უსვამდა რქებზე და ყოველ დღე სავარცხლით ასუფთავებდა თხებს და დაფნისის უბრალო და ჩვეულბრივი თხის ფარა პანის ღვთაებრივ ფარას ემზგავსებოდა. მთელ შრომას შუაზე იყოფდა ქლოია, დროს არ ზოგავდა,-დავიწყებას მისცა თვისი ცხვრები. და დაფნისი დარწმუნებული იყო, რომ ქლოიას წყალობით დამშვენდნენ მისი თხები.

5. მეორე ახალმა ანბავმა მოუსწრო ამ შრომაში გართულთ. ბატონის მახარობელი მოვიდა და მისცა წინადადება ჩქარა მოეთავებინათ რთველი, მახარობელი ამბობდა, რომ რთველის მოთავებამდე დავრჩებიო, შემდეგ ქალქს დავბრუნდები და ბატონს ვეახლებიო. დიდი ალტაცებით მიიღეს მახარობელი ევდრომი (ფეხმარდი) რადგან სირბილი შეადგენდა მის მოვალეობას. მაშინვე შეუდგნენ მზადებას: მოკრიფეს ყურძენი, დაწურეს და მაჭარი დააყენეს. საკეთესო ჯიშის ვაზი კი დასტოვეს აქა იქ მოუკრეფავი, რომ გაეხარებინათ ქალაქელთა გული და მათაც ჰქონოდათ წარმოდგენა რთველზე.

6. მოახლოვდა ევდრომის ქალაქს დაბრუნების დროც: ძვირფასი საჩუქრები მიართვა დაფნისმა, რაც კი შეეფერებოდა თხის მწყემს: გემრიელი ყველები, ძუძუდან ახლად მოშორებული თიკანი და ცხვრის სქელი მატყლით დაფარული ტყავი, რომ არ გაციებულიყო მგზავრობის დროს. გახარებულმა ევდრომმა ვადაჰკოცნა დაფნისი და დააიმედა, ვეცდები შენი სურვილისამებრ მოვაწყო საქმეო. აუარებელ ფიქრთა მორევში გართული დაფნისი კი სოფლად დარჩა და ქლოიას ხატება ვერ ამოეშალა გონებიდან. საბრალო ბავშვი, რომელსაც თხა-ცხვრისა, სოფლელთა და ქლოიას მეტი არა ენახა—რა, უცებ უნდა წარსდგომოდა ბატონს, რომელსაც მხოლოდ სახელით იცნობდა შორიდან. არც ქლოია გრძნობდა თავს დამშვიდებულად—არ იცოდა, რით გათავდებოდა ბატონთან შეხვედრა. შიშის ზარსა სცემდა ქორწილი: ვაი თუ სიზმარივით გაბნეულიყო მათი ნაზარ-ნაფიქრი. კოცნის დროს ისე ეხუტებოდნენ ერთმანეთს გულ-მკერდში, თითქოს ერთ არსებადა სურთ გადაიქცნენო. ამ ჟამად სულ სხვა განცდათ იწვევდა კოცნა, ქრუანტელს უვლიდა ტანში, აკრთობდა, თითქო აგერ გაჩნდა ბატონი და უნდათ დაე

# მელანქოლია.

შემოდგომის ქარი ჰბერავს, ქარი წივა,
დამზრალ ფოთლებს აფრიალებს, ბუ გაჰკივა...
სევდა მეფობს გულის მკვლელი კიდით კიდე;
ცის ლურჯ ეთერს მოჰფენია მწუხრის რიდე.
ხევში წყარო მწარედ მოსთქვამს, მწარედ სტირის,
იადონი ვარდს დათრთვილულს თავს დასტირის:
„საფლავს სთხრიან, შავბნელ საფლავს"... ისმის გლოვა...
ბედკრულ სოფელს თავს დასჩხავის ჰილ-ყვავთ გროვა...
არსად ისმის ჟრიამული, ფრინველთ სტვენა,
ყურს არ ატკბობს ჩვეულებრივ მათი ლხენა!
ძრწის მსოფლიო, შიშს მოუცავს, შიშს ქვეყანა;
ისმის ოხვრა, ისმის კვნესა ყოველგანა:
„ოჰ, ის ტურფა გაზაფხული როდის მოვა...
რომ კვლავ შესწყდეს ქვეყანაზე მოთქმა, გლოვა!..."

ბ. ოდიშელი

---

ვისტურ მიდრეკილებას, როგორიც თავის დროზე ელინურმა და ლათინურმა რასამ ითამაშა, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ რუსეთის ჭეშმარიტ მამულიშვილთა აზროვნებაში ხდებოდა, ხოლო სინამდვილემ დაგვარწმუნა, რომ ეს აზროვნება ჯერ ვერ აღზდილა მსოფლიო საქმეთა მომწესრიგებელ ძალამდე.

რა საშუალებებს მიმართა რუსეთმა დიადი მიზნის განსახორციელებლად? ამ მხრივ საინტერესოა რუსეთისა და პოლონეთის ურთი-ერთობა. პოლონელები, რომ სლავიანთა ტომს ეკუთვნის მოდგმით, ამაში ყველა დარწმუნებულია, მაგრამ სასურველი თანამშრომლობა ძლიერ სახელმწიფოსა და ამ პატარა ერს შორის შეუძლებელი შეიქნა. ტერიტორიალური მთლიანობა, ენა, სარწმუნოება და საკუთარი ისტორიული წარსული ნებას აძლევდა პოლონელთ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივ აზრს აგრე ადვილად არ გამოთხოვებოდენ. დიდი რუსეთი კი ვერ ინელებდა მათს „სეპერატიული" მისწრაფებას. ამ გარემოებამ კი პანსლავისტურ იდეას ნიადაგი გამოაცალა.

უფრო საბედისწერო შეიქნა სლავიანთა გაერთიანების საქმე, როდესაც პანსლავისტებმა რელიგიოზურ ფაქტორს საშუალო საუკუნოების რაინდებივით დაუწყეს შეფისება.

რუსინები მართლმადიდებელი სარწმუნოების არიან, მაგრამ ამავე დროს უნიატებიც და რომის საეკლესიო მფარველების ქვეშ მყოფნი. ამ ფაქტს ვერც ოფიციალური რუსეთი შეურიგდა და ვერც ლიბერალი პანსლავისტები: შიდა რუსეთში ერთხანს საშინლად იდევნებოდენ უნიატელები, რამაც გალიციის რუსინები სამუდამოთ განაშორა რუსეთსა და მის გამაერთიანებელ იდეას, ხოლო დუხობორების სარწმუნოებრივ ნიადაგზე შევიწროება და მათი კავკასიაში იძულებით ექსორიად ქმნა, დიდი მინუსი იყო პანსლავიზმის ისტორიაში.

მრავალი ამის მზგავსი ცოდვა განუყრელი შეიქნა ახლად გამოჩარხულ რასიულ მიმდინარეობაში, რაც ამ ომის დროს ნათლად გამომზეურდა.

ბალკანეთის კუნძულზე, ავსტრო-უნგრეთის სამეფოში თუ გერმანეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი სლავიანები გულცივად ვერ შეხვდებოდენ რუსეთის სამართლიან მიზანს, მაგრამ ამავე სახელმწიფოს უხეშმა და წინ დაუხედავმა საშუალებამ სამუდამოთ დაკარგა დასავლეთის და სამხრეთის სლავიანთა სიყვარული. კულტურულ ვითარებამ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციამაც დიდი როლი შეასრულა პანსლავისტური იდეიის ჩაშლაში.

დასავლეთის სლავიანები, დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ პოლიტიკური ცხოვრების მქონენი, აღმოსავლეთის სლავიანებზე ერთობ მაღლა აყენებენ თავიანთ კულტურას, ხოლო სახელმწიფოებრივი წესწყობილების მხრით, პირველნი რათქმა უნდა ვერასოდეს ვერ გასცვლიდენ თავიანთ პარლამენტარულად მოწესრიგებულ ცხოვრებას, უკანასკნელთა ბიუროკრატიულ მართველობაზე.

რუსეთმა ადრიდანვე შეიგნო თავის უძლურება და იმიტომაც იგი თითქმის ჩამოშორდა დასავლეთელ სლავიანებს.

ამის შემდეგ იწყება აღმოსავლეთის პოლიტიკა. „ავათმყოფი" ოსმალეთისა და საერთოდ უძლურ აზიელთა დაპყრობით შეიცვალა ფრონტი პანსლავისტურმა იდეამ. ამასობაში მსოფლიო ომმაც მოუსწრო. სლავიანთა უმრავლესობა მტრის ბანაკში გამოჩნდა

ჯანე.

---

# ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობამ სამშაბათს, 29 ნოემბერს მიიღო ქალაქ ფოთიდან 19 ვაგონი პურის ფქვილი, ამ ფქვილიდან ერთი ვაგონი საწყობებში გადმოტანამდე გაუნაწილა სადგურის მეფურნეებსა და მეთორნეებს და დანარჩენი 18 ვაგონი კი საწყობში გადმოიტანეს, რასაც საწყობიდან გაუნაწილებენ მეპურეებს. ქალაქი მიიღებს კიდევ ფოთიდან 60 ვაგონ ფქვილს, რომელსაც გაუნაწილებს პროვინციის მომხმარებელ საზოგადოებებს.

✦ ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით სოფელ ობჩაში (ქუთ. მაზრა) არსდება მომხმარებელი საზოგადოება „თანხმობა".

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომთა კანცელარიის გამგე ილია ბახტაძე დეპეშით ატყობინებს ბათუმში დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომს ა. მ. ვასილევსკის (რომელიც ამავე დროს ქუთაისის სამეურნეო აღწერის ხელმძღვანელად ითვლება), რომ ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის სამეურნეო აღწერის მთავარი ხელმძღვანელი ბ-ნი მერხელევი, რომელსაც დავალებული აქვს ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო აღწერის მასალების პეტროგრადში გაგზავნა.

✦ თსეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ გაჩენილა ცხენების ჭირი, რაიც დამართებისთანავე ჰხოცავს თურმე ცხენებს. საჭიროა დახმარება.

✦ როგორც დანამდვილებით გვიგვეთ უმაღლეს მთავრობას ნება არ დაურთავს კავკასიის სამეურნეო აღწერის მასალები ადგილობრივ ყოფილიყო განხილული.

✦ ქუთაისში პურის ფქვილის უქონლობამ სიმინდის ფქვილის გაძვირებას შეუწყო ხელი, უკანასკნელი ცნობით სიმინდის ფქვილი ბაზარზე 4 მანეთად და 20 კაპ. გაყიდულა, მაგრამ მიუხედავათ ასეთი სიძვირისა, მისი შოვნაც ძნელი ყოფილა, რადგან ახლო-მახლო სოფლეიიდან ამ ჟამათ შედარებით ნაკლები შემოდის ბაზარე.

✦ გენერალი ლიახვი ბათუმიდან დეპეშით ატყობინებს დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომს, ა. მ. ვასილევსკის, რათა დაუთმოს მას არმიის საჭიროებისათვის რამოდენიმე ცალი ერთ ცხენიანი გუთანი და მათოხი (კულტივატორი) რასაც ვასილიევსკიმ ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ ფოთში რეკვიზიცია უყო.

✦ სოფელ სიქთარვალან გვატყობინებენ რომ ქუთაისის მაზრის საერობო ინსტრუქტორს იოილ (იონა) მაჭავარიანს მიწა შეუწირავს ადგ. ახლად გახსნინ მომხმარებელ საზოგადოებისათვის, ხავაჭრო დუქნის ასაშენებლად.

✦ მეორე წრაიონის საერობო აგრონომი გ. გედევანიშვილი, სთხოვს დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომს ა. მ. ვასილევსკის, შეიტანოს საერთო მოსამსახურეთა სიაში მის რაიონში მომუშავე დროებით დაქირავებული მოსამსახურეები, რომლებიც ითვლებიან სასოფლო მეურნეობის მუშებათ, რომ მათაც სეშვალება ექმნეთ მიიღონ დამატებითი ჯამაგირები, თანახმათ ახალი კანონისა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა შემდეგი პირები: კი შეკლაშვილი მარილის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის ივანე კაჭკაჭოვი, ნავთის ზედ-მეტ ფაბში გაყიდვისათვის, ივანე მამაგეიშვილი, რევოლვერის უნებართვოთ ტარებისათვის ორი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს ადგ. მცხოვრებს, ბეგლარ ჩაჩავას ჯარისკაცთათვის არაყის მიყიდვისათვის.

✦ საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება სასურსათო საქმეების მომწესრიგებელ კომისიას, რომელზედაც განაწილებულ იქნება ადგ. ვაჭრებისათვის ვაგონები.

✦ იმ ერთი ვაგონი შაქრიდან, რომელიც გუშინ მიიღო ქალაქის გამგეობის სხვა და სხვა დაწესებულებისათვის დატოვა ნაწილი ხოლო დანარჩენი როგორც მოხსენებული გვქონდა გადასცა საზ. „მოშავალს."

✦ ქალაქის სანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა საფირჩხიაზე მოვაჭრეს სარდიონ იობიძეს.

✦ შავი ქვის საბჭოს დარბაზში, დღეს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც განხილული იქნება საქონლის ჭირთან ბრძოლის საკითხი თანხმად გურიის მეურნეთა წინადადებისა.

✦ 28 ნოემბერს ღამით ქურდებმა გატეხეს თადეოზ შომახიას ფეხსაცმელების სახელოსნო დუქანი და გაიტაცეს ჩექმები 5 წყვილი სხვისგან შეკვეთილი. ქურდები პოლიციამ შეიპყრო.

✦ ქუთაისის გუბ. თავად აზნაურობას საგანგებო კრებამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახელმ. საბჭოს წევრს თბ. გუბ. თავად აზნაურობის წინამძღვარს თ დ. კ. აბხაზს.

ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დამავალა გულწრფელად მოგილოცოთ თქვენი ერთსულოვნად არჩევა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ—მაღალს თანამდებობაზე სახელმწიფო საბჭოში და სულით და გულით გისურვოთ ღირსეულ წარმომადგენელს სრული წარმატება ახალ მოღვაწეობაზე და ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი მხარის ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად ჩვენი სამშობლოს სასწრაფო მომწიფებულ საკითხებისა.

ამის პასუხად ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ ნიჟარაძემ მიიღო

უძღვნი გულითად მადლობას თავად-აზნაურთა კრებას ყურადღებისა და პატივის ცემისათვის.

სამშობლოს ინტერესების და თავად-აზნაურობის სამსახური შეადგენს ჩემს მიზანს და მოქმედებას.

---

# კავკასიის ქრონიკა.

— **თბილისი.** მეფის მოადგილის საბჭოში უკვე დაიწყო მუხლ-მუხლად განხილვა ამიერ-კავკასიის საერობო კანონ-პროექტის. საბჭომ უცვლელად მიიღო 1890 წლის საერობო დებულების მესამე მუხლი. შემდეგ საბჭომ შეავსო სია იმ საგნებისა, რომელიც 1890 წლის დებულებაში აღნიშნული და რომელიც საერობო უწყების გამგებლობაშია. სახელდობრ ჩაუმატა შემდეგი საგნები: ტელეფონების გაყვანა, სეტყვისაგან, წყალდიდობისაგან და საქონლის ავათმყოფობისაგან დაზღვევა, მინერალური წყლების, იურიდიული დახმარება, სახალხო სახლებისა და გასართობთა მოწყობა და სხვა. 25 ნოემბრის კრებაზე საბჭომ კანონ-პროექტის 1—21 მუხლები მიიღო მცირედი სარედაქციო შესწორებით, შემდეგ განხილული იქნა საერობო დაწესებულებათა მეთვალყურეობის შესახებ. ადგილობრივი მეთვალყურეობა გუბერნატორებს უნდა [illegible] და მათი დადგენილების გასაჩივრება მეფის მოადგილის საბჭოში შეიძლება.

საბჭომ დაადგინა შემოღებული იქმნას 15 მანეთი საგადასახადო ცენზი, რომელიც ზოგიერთ მაზრისთვის შემცირებული უნდა იქნეს 10 და 5 მანეთამდე. გლეხ-მესაკუთრეთ ნება აქვთ ხმოსნობაზე ყუთი დაიდგან.

— 27 ნოემბერს თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება გაიმართა თფილისის გუბერნიის თავად-აზ. წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის თ. დი ჩოლოყაშვილის თავჯდომარეობით. კრებამ სხვათა-შორის ითათბირა ჭიათურის მამულების შესახებაც. კრებამ საკრებულოს დაავალა, ჭიათურის მამულების ლიკვიდაციაში არ ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ დაატყობს, რომ საქმე ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სასარგებლოდ წყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად-აზნაურთა საკრებულომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ მამულების შესაძენად.

— „სახალხო ფურცლის" რედაქცია პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო. სახელმწიფო საბჭოს კომისიამ მიიღო თ-დი ერისთვის წინადადება თბილისის უნივერსიტეტის ახლო ხანში გახსნისა, რომელსაც უწყების წარმომადგენელნიც დაეთანხმენ. ერისთავმა სასტიკად გააკრიტიკა ვორონცოვ-დაშკოვის გადაწყვეტილება პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში შესახებ, თუმცა პოლიტეხნიკუმის გახსნის მომხრედ გამოვიდა.

— **ბორჯომი.** მადნეული წყლების დირექტორი ვინოგრადოვი თბილისის გუბერნატორს სთხოვს ბორჯომისათვის 500 ფუთი შაქარს და 2 ვაგონი ფქვილს. ბ-ნი ვინოგრადოვის სიტყვით ბორჯომი დიდ გაჭირვებას განიცდის. ამ ჟამად ბორჯომში არც რამე სურსათ-სანოვაგეა და აღარც ნავთი.

— **ყვირილა** ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებამ „ერთობამ" უკვე დაიკვეთა შაბიამანი და გოგირდი და ამ დღეებში მოელის. საჭიროა მომხმარებლებმა ეხლავე დაიკვეთონ შაბიამანი ბეს შემოტანით.

— **ჭიათურა.** მომხმარებელმა საზოგადოებამ „ჩვენმა ოჯახმა" მიიღო მხოლოდ 40 ცალი ფქვილი. ფქვილი თეთრია, კარგი ხარისხის. ფურნის წინ მოზღვავებული დამშეული ხალხი ვერაფერმა შეაჩერა. ვინაიდან პური ყველას არ ხვდებოდა, ბევრ მყიდველებს გული შეუწუხდათ და ცივი წყლით მოაბრუნეს. პოლიციაც ვერას გახდა. დაწყნარდენ, როცა პური გამოილია. უვარგისი პურის ჭამით კუჭის ავათმყოფობა გახშირდა. ბათმანი ლობიო 4—5 მანეთს ფასობს.

— **სოხუმი.** კამერჰერმა პრუტჩენკომ ალექსანდრე შერვაშიძისაგან სოფელ წყურვილში 1000 დესიატინა მიწა შეიძინა. ეს მამული შავი ზღვის პირად მდებარეობს, მემამულემ დესიატინა 450 მანეთად გაყიდა. პრუტჩენკო ტყის (მუხნარია) მოჭრას აპირებს და მერე ზედ თუთუნი უნდა მოიყვანოს. ამავე პრუტჩენკომ სამეგრელოში მდ. ენგურის პირად, სოფ. ოცარცეში გახსნა ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ხე-ტყე კი თავადი დადიანების ტყიდან უნდა ჩამოიტანოს მდ. ენგურით.

---

# შეკითხვა სურსათის საქმეზე.

სახელმწიფო სათათბირომ, თანახმად 40 დეპუტატის ხელმოწერილი შეკითხვისა, მიმართა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს სასურსათო საქმის შესახებ იმპერიაში, შემდეგი შეკითხვით.

სურსათის ახლანდელი დამზადება და განაწილება რუსეთში ყოვლად უვარგისია; საჭიროა სწრაფი ზომები მათ გასაუმჯობესებლად და წეს-რიგში ჩასაგდებად.

თვეანახევრის წინათ, როდესაც სათათბიროს კომისია ხარჯთ-აღრიცხვას იხილავდა, აღნიშნულ შეკითხვას, პირველ დღიდანვე ცდილობდა იგი სასურსათო საქმის მდგომარეობა გაეგო, მაგრამ რადგან იქ მთავრობის მხრით პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა, კომისიამ თავის წევრი მიანდო ამ საქმის განხილვა და მოხსენება. ცნობები მოკლე ხანში შეკრიბეს, მაგრამ სრული არ იყო. ამ ცნობიდან აღმოჩნდა, რომ სასურსათო საქმეზე მთავრობის სხვა და სხვა ორგანოები მუშაობენ და მათში ერთობა არ არსებობს. სამხედრო სამინის-

---

მალნენო. სულ ახალმა უბედურებამ მთლად აუბნია მათ თავგზა.

7. მათ მეზობლად ერთი მეხრე სცხოვრობდა სახელად ლამპისი, რომელმაც ქლოიას ცოლობა სთხოვა და მრავალი საჩუქრებიც მიუტანა დრიასს, რომ მოექრთამა დაეთანხმებინა როგორმე. ის უკვე მიმხვდარი იყო, რომ საქმე დაფნისზეა გათავებული დამხოლოდ ბატონის ნებართვას-ღა ელოდნენ, ამიტომ მარჯვე შემთხვევას ეძებდა და უნდოდა ხელი შეეშალა დაფნის—ქლოიას ბედნიერებისთვის. ისიც კარგად იცოდა, რომ ბატონს გაგიჟებით უყვარს ბაღი და მისი „წაბილწვა" და აოხრება მოინდომა. ხეების მოჭრა ვერ გაბედა—ხმაურობას შეამჩნევდნენ და დასჯიდნენ. ყვავილთა გაჟღრანება არჩია. ერთ საღამოს გადიპარა ჩუმად და ტყის ნადირივით დაერია იქაურობას: მირეგვ-მორეგვა მთელი ვარდ-ყვავილი და შეუმჩნევლადვე გაიპარა. ყვავილთა მოსარწყავად მოდიოდა დილას ლამონი. როდესაც გაოხრებული ბაღჩა შეამჩნია—მტრის ბოროტი განზრახვით და არა ვინმე ქურდის ნამოქმედარი, შემოიფხრიწა ტანზე სამოსი, მორთო ყვირილი და მუდარებით მოუწოდებდა ღმერთებს სამაგიეროს გადასახდელად. ყვირილზე მირტალემაც მიირბინა. ფარეხიდან თხებს ერეკებოდა დაფნისი საძოვარზე—ისიც იქ გაჩნდა თვალის დახამხამებაზე და ვაი-უშველებელი შექნეს.

8. რასაკვირველია, ყვავილებისათვის არ მოიკლავდნენ თავს: ბატონისადმი მოკრძალება, რიდი და შიში იწვევდა ცრემლთა ნაკადულს. ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ სიბრალული არ აღეძრა ამ ველურ სანახაობას: მთლად მირეგვ-მორეგვილი იყო, შავი გადათხრილი მიწა მოსჩანდა და მეტი არაფერი, აქა იქ ობლად, შემთხვევით გადარჩენილი ყვავილნი, რომელთაც უკვე დაეკარგათ სინაზე და სილამაზე — მიწაზე გართხმულნი კი დილის ცვარ-ნაპკურები უკანასკნელად ბზინავდნენ სიკვდილის აჩრდილის წინაშე. ფუტკარი გარს ეხვეოდა იქაურობას ბზუვილით, თავს დასტიროდა და სამძიმარს უცხადებდა პატრონს კვნესოდა და ცრემლად დნებოდა ლამონი:

— ვაი ჩემ თავს! ჩემო ლამაზო ვარდ-ყვავილნო, ავაზაკის ხელით სასიკვდილოდ განწირულნი რას დამჭკნარხართ?! ლურჯი იით დამშვენებულო კვალო—როგორ გადუჯიჯგნიხარ იმ უბედურს! ძირიან-ფესვიანად ამოუგდია სუმბულ-ნარგიზი? გაზაფხული მოვა და თქვენი ხსენება კი არ იქნება, აღარც ზაფხულობით აფერადებთ ჩემ ბაღჩას; ვერც შემოდგომაზე დასწნავს ვინმე თქვენგან გვირგვინს. ოჰ, ღმერთო სილამაზისა და მხიარულებისა, ჩვენო მფარველო, რაზე გაგვწირე? ნუ თუ არ გეცოდებოდნენ ეს საბრალონი შენთვის თავდადებულნი, რომლითაც ხშირად ვამკობდით შენ შუბლს? როგორ მიეცი ნება —ძირიანად ეგლიჯათ და ფეხით ესრისათ? რა წყალში ჩავარდე ახლა? როგორ ღა ვუჩვენო ბატონს ასე გაოხრებული და გატიტვლებული ბაღი? რას იფიქრებს ამ უბედურების დანახვაზე? მარსიასავით ჩამომკიდებს ფიჭვზე—იქნება დაფნისიც თან გამომაყოლოს, ეგონება მისმა თხებმა ჩაიდინეს ეს უკეთურობა".

9. ასე მოსთქვამდა და თავს დასტიროდა ღვიძლი შვილივით მოვლილ და ახლა კი ავაზაკურად „დახოცილ" ყვავილთ. ამ ჟამად კი ყვავილები დაავიწყდათ და ყველანი თავიანთ ხვედრს დასტიროდნენ. ქლოია სასოწარკვეთილებას მიეცა-დაფნისს ჩამოახრჩობენო. ღმერთებს ევედრებოდა, რომ ბატონისთვის გადაეფიქრებინებინათ ჩამოსვლა, ვერ ისვენებდა ერთ ადგილს და სულ თვალწინ უდგებოდა სურათი, ვითომ ამათრახებდნენ დაფნისს. ერთ საღამოს ფეხმარდმა ევდორომმა მოირბინა და აცნობა, რომ სამ დღეში ჩამობრძანდება ბატონიო, მისი შვილი ახალგაზდა ბატონი კი ხვალ დილით აქ იქნებაო. ევდრომიც მოიწვიეს და ერთად მოილაპარაკეს, როგორ მოქცეულიყვნენ. დაფნისისადმი მეგობრულად განწყობილმა ევდრომმა ურჩია მას ახალგაზდა ბატონისთვის ეთქვა ყველაფერი და თავისი მხრითაც აღუთქვა დახმარება, რადგან, როგორც პატარაობიდანვე მასთან შეზრდილს ერთ ძუძუ ნაწოვარს, პატივსა სცემდა ახალგაზდა ბატონი. სწორედ ისე მოიქცნენ.

გ. შუშლაძე.

(შემდეგი იქნება).

ტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და მიწად-მოქმედების სამინისტრო სულ განცალკევებული მუშაობენ, ამის გამო ხშირად ერთის ბრძანება და განკარგულება მეორეს ხელს უშლის და მეორის მესამეს. ამგვარ განცალკევებას საერთო საქმეში მარტო ზარალი მოაქვს და შეუძლებელია, რომ ან სურსათის შეძენაში, ან მის დანაწილებაში რაიმე წესიერება არსებობდეს.

რადგან ამგვარი უკუღმართი მდგომარეობა წრეს გადადის და დიდად საჭიროა ახლავე იყოს მიღებული საჩქარო და ენერგიული ზომები, რომ მოსალოდნელი გაჭირვება თხვიდან ავიცილოთ, ჩვენ 40 დეპუტატი წინადადებას ვაძლევთ სახელმწიფო სათათბიროს შეეკითხოს მთავრობას შემდეგს.

1, რომელ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების ხელშია სასურსათო საქმე, რომელი კანონის ძალით და ვისი განკარგულებით.

2, შემუშავებულია, თუ არა გეგმა სასურსათო საქმისა და თუ გეგმა არსებობს. როგორია მისი შინაარსი.

3, როგორია, ფაქტიურად სურსათის განაწილება მთელ იმპერიაში.

4, როგორ მდგომარეობაშია სურსათის დამზადება, რამდენია დამზადებული და რამდენი კიდევ უნდა დამზადდეს.

5, რა წეს-რიგით მზადდება სურსათი ჯარისათვის და რა წესით მცხოვრებთათვის.

6, რა ზომები აქვს მიღებული მთავრობას რომ სხვადასხვა ორგანოთა მუშაობა სურსათის საქმეში გაერთიანდეს და მით სურსათის დამზადება და ადგილზე მოტანა გაუმჯობესდეს.

## ა. ი. გუჩკოვი თფილისში.

ა. ი. გუჩკოვი სახელმწიფო სათათბიროს წევრია და დღეს სრულიად რუსეთის ცენტრალური სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეა და, როგორც ასეთი იგი რუსეთში დიდ პიროვნებას წარმოადგენს.

მან 24 ნოემბერს თფილისის ქალაქის საბჭოში ხატისოვის თავმჯდომარეობით სხდომას დაესწრო. შემდეგ ხატისოვმა თავის სიტყვაში დაასურათა თუ რისთვისაა ჩამოსული ა. ი. გუჩკოვი, თუ რა ბედნიერია თფილისის საბჭო მისი თან,დასწრებით, რომ იგი დიდი პიროვნებაა—უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწე; შემდეგ თხოვს მას რომ სათათბიროში მან თფილისის პოლიტეხნიკუმს მხარი დაუჭიროს და ათავებს: გაუმარჯოს რუსეთის ძლევამოსილ ჯარს და გაუმარჯოს ა. ი. გუჩკოვს".

საბჭოს უმრავლესობა ამ მისალმებას ტაშის ცემით ეგებება.

ა. ი. გუჩკოვი მადლობას უცხადებს საბჭოს და ეხება ომის მსვლელობას: თუმცა მას მოუმზადებლად დავხვდით, მაგრამ ჩვენი კოალიციის გამარჯვება აუცილებელია. ომის დაბოლოებისას რუსეთი განახლდება. განახლებულ რუსეთში კი ყველა დაკმაყოფილდება. კავკასიის ხალხმა თავის წვლილი შეიტანა ამ ომში და მათაც ერგებათ საერთო ბედნიერება. უკანასკნელად თფილისის და კავკასიის მცხოვრებთ უსურვა გამარჯვება და წინსვლა. საბჭოს უმრავლესობა ამ სიტყვასაც ტაშისცემით მიეგება.

## ეპისკოპოზის მგალობელთა გუნდი.

27 ნოემბერს დავესწარი ქუთაისში პეტრე-პავლეს ეკლესიაში წირვას, თეკლე ნიკიტინის ცხედრის გასვენების გამო. წირავდა მოწამეთის მონასტრის გამგე—არქიმანდრიტი უუბანეიშვილი, ადგილობრივ და საკათედრო ტაძრის სამღვდელოების მონაწილეობით. გალობდა ეპისკოპოზის გუნდი ხალთაძის ლოტბარობით.

ძლიერ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გუნდს ეტყობა ამ ახალ ლოტბარის ხელმძღვანელობით ბევრად გაუმჯობესობა.

წინად საკათედრო ტაძარში ეპისკოპოზის წირვის დროს ვერც კი გაჩერდებოდით, იმ ტაძარში, სადაც ჩვენ გვახსოვს უდიდებულესი და უმშვენიერესი წირვა-ლოცვა ნეტარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოზის და გალობა მისი გუნდისა, უნიჭიერესი ლოტბარის ბენაშვილის ხელმძღვანელობით. ლოტბარი ბენაშვილი სანატრელი იყო, არა მარტო ჩვენს მცირე მხარეში, არამედ სატახტო ქალაქებშიაც.

ახლანდელი გუნდის გალობა ასეთია: ხმებს ეტყობა შეწყობილობა, როგორც რითმით, ისე მელოდიით და ჰარმონიითაც, რაც ატკბობს მსმენელის სარწმუნოებრივ გრძნობას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ნაკლიც, რომელიც ცხადათ ემჩნევა მას: ერთი ის, რომ გუნდი ერთობ მცირე რიცხოვანია: შესდგება სულ თორმეტი მგალობლისაგან, როდესაც უნდა იყოს არა ნაკლებ ოცდახუთისა, რის გამოც გალობა საერთოთ მოისმის სუსტად. მეორე ის, რომ ბანებს ოკტავისტები (ბას-პროფუნდო) სულ არ მოეპოვება და ერთი მათგანი კი, რომელსაც მინდობილი აქვს სოლო საგალობლების შესრულება, მეტად უშნოთ და უდაბნოთ ასრულებს თავის მოვალეობას, განსაკუთრებით მაღალ თარგებში, მაგალითად: როდესაც მან იგალობა სოლო ბარტნიანსკის „რომელ ქერუბიმთა", რომელიც შეასრულეს რუსულათ, „Тайно образующе", „присвятую" და „дориносма чинми" ხმა სრულიად დაუჭნელი და დაუმუშავებელი აქვს და მასთან არც კი სცდილობს, რომ რაიმე გრძნობა ჩასახოს საგალობელ კილოში გარდა ნოტიდან ნოტზე მშრალად გადასვლისა, რასაც ამტკიცებს მისი გარეგნობაც. სხვათა შორის სასიამოვნოთ უნდა მივიღოთ და წარტებათ უნდა ჩავთვალოთ რამოდენიმე საგალობლები, რომელთა უმრავლესობა შესრულებულ იქნა ქართულად, კახურ კილოზე შეასრულეს წმინდა იმერულ ცოცხალ კილოზე, როგორც ხანდისხან „უფალო შეგვიწყალე", „და სულისათა შენისათანა" და „დიდება შენდა უფალო". კარგი იქნება, რომ ბ-ნი ხალთაძე გაწრთვნიდეს გუნდს ამ კილოზე უფრო ვრცელ მუხლების შესრულებაშიაც, რაშიდაც მას ჩემის აზრით გაუწევს დიდს დახმარებას განსვენებული ქორიძის მიერ შედგენილი საეკლესიო საგალობელთა კრებული; ადგილობრივ დიაკონს მოდებაძეს მართებს არა ცხვირის ხმით, არამედ უფრო გამოკვეთილად დოცვის კითხვა პროსკომიდიის დროს.

ვარლამ ლორთქიფანიძე.

## საყურადღებო წერილი.

გუშინ შესრულდა ორმოცი დღე. რაც მიწას მივაბარეთ ჩვენ ცხოვრებაში დევნილი და წამებული, მაგრამ ცნობილი ისტორიკოსი თევდორე ჟორდანია. დასახასიათებლათ იმისა თუ რა დიდი მოყვარული იყო ჩვენის ქვეყნისა და მწიგნობრობისა მოგვყავს მისი წერილი ბ ნ ლადო ბზვანელისადმი:

ღრმად პატივცემულო ბატონო ვლადიმერ „ბზვანელო"!

გთხოვთ „სკოლა-ოჯახის" რედაქციას გადასცეთ, რომ მათგან დაკისრებას თანამშრომლებობისას სიამოვნებით ვიღებთ და გაზეთში გამოცხადებასაც ჩემის სახელგვარისას არ უარვყოფ. ერთი ცუდი ჩვეულება მჭირს და გთხოვთ შემაძლებინოთ მომითმინოთ, რო გული არ წამიხდეს: ჩემი სტატიები თუ მოგივიდეთ დაბეჭდვა არ დამიგვიანოთ და ჩემი ნაჯღაბნები კარგს ამწყობს უნდა ჩააბაროთ. მე სრულიად უსასყიდლოდ ვიმუშავებ, ოღონდ ეს არის რომ მალარაია ჭკლავს, ზღვის ციება. დიდათ დამავალებთ, რომ სრული თავისუფლობა მომანიჭონ აზრთა გამოთქმაში და აქა იქ მოახირებულო შეხედულებაც მოითმინოთ. რა ვქნა, ოცდაათ წელიწადს სულ სკოლებს ვემსახურებოდი და სემინარიაშიც ხომ პეტაგოგიკას ვასწავლიდი, ჩახედული ვარ და ახალ-აზრების მატარებლად მიმაჩნია ჩემი თავი, თუმცა ბეჭდვით არა დამიბეჭდავს რა.—იმედი მაქვს თქვენს ჟურნალს მუქთად გამომიგზავნით.

თქვენის მხნეობით გამხნევებული.

თედორე ჟორდანია.

## გაკვრით.

ფრიად დამახასიათებელი ბარათი მოგვივიდა ბრძოლის ველიდან. ერთის ხელის მომწერისაგან უბრალო წერილით მივიღეთ ოთხი მანათი და თან ეს ბარათიც:

თუ ვინმე ქართველმა გახსნას ეს წერილი ფული არ ამოიღოს, თორემ ქართული დაავიწყდება: რადგანაც ამ ფულმა უნდა აცნობოს სამშობლოის გოდება, შორს ქვეყნებში, ბედის საძებნად გაფანტულ საქართველოს შვილებს.

თუ არა ქართველმა გახსნა ღმერთმა შეარგოს, ვიცი რომ ის დაიბადა იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს და წინ გადაეღობოს „ჩემი" სურვილს განხორციელებას.

## პროვინციის ცხოვრება.

**ლეჩხუმი.** რაჭა ლეჩხუმში წელს ნამდვილი შიმშილობაა. სიმინდი მხოლოდ ლეჩხუმის ერთ მხარეს მოვიდა ისიც საშუალოდ, დანარჩენ ადგილებში მოსავალი სრულებით არ უვარგია გვალვის გამო. ამიტომ ეხლა სიმინდის დიდი მოთხოვნილებაა. აწი აქეთ თოვლს ჩამოყრის და გზების დახურვაა მოსალოდნელი, მაგრამ მიუხედავად ამისა სურსათის შემოტანაზე ნაკლებათ ზრუნავენ.

რაჭა ლეჩხუმის სამაზრო სათ. ჭრებალოში საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება დაარსდა. ამ ჟამად განყოფილების ხელში 16,000 მანეთზე მეტი თანხაა საქველმოქმედო მიზნით დასახარჯავი. სასურველი იყო ამ ფულით სიმინდი ან ფქვილი შემოეტანათ და ღარიბი ხალხისთვის დაერიგებიათ. ამბობენ ღარიბებს ფულით დაეხმარებიანო, ეს ნაკლებ სარგებლობას მოიტანს.

ასეთ სიძვირის დროს და ამ აუტანელ გაძვირებაში ლოთობა მაინც არ მოისპო. დღეობებს კიდევ ასრულებენ. ამ რამდენი დღის წინათ—გიორგობას სოფელ სადმელში მთვრალი ხალხი დაერია ერთი მეორეს და ორი ძმა მუსელიანები სასიკვდილოთ დაჭრეს.

ამას წინად აქ წარმოდგენა გამართეს და შემოსული ფული სამკითხველოს გადასცეს. ეს პირველი მაგალითია. აქამდი შემოსავალი საქეიფო თანხა იყო. თ. ა.

— **სურამი.** სურამელმა მეფურნეებმა თითქოს პირი შეკრეს. პურს სულ არ აცხობენ. ან იმდენს გამოაცხობენ, რომ თუ სულზე არ მიასწარი, მთელი დღის განმავლობაში დუქანს ვერ იშოვი. ასე იქცევიან ყასპებიც, ადგილობრივი კოოპერატიული ფურნე „შრომა" თუმცა აცხობს პურს, მაგრამ წევრებს ძლივს აკმაყოფილებს და სურამის მცხოვრებნი ეს რამოდენიმე ხანია დიდ გაჭირვებას განიცდიან.

— **სოფ. წროში.** ადგილობრივი კოოპერატივი კარგა ენერგიულად მუშაობს და ხალხში თანდათან მეტ სიმპატიას იხვეჭს. ამ დღეებში კოოპერატივმა რაოდენიმე ტომარა ფქვილი შაქარიც მიიღო.

— **ხაშური.** ადგილობრივი სავაჟო გიმნაზიის შენობას ამ დღეებში დაამთავრებენ. მოსალოდნელია მოსწავლეებს დეკემბრიდან ახალ შენობაში გადიყვანებენ. ის შენობა, რომელშიდაც დღეს გიმნაზია იმყოფება, უოვლად უვარგისია.

— **ბოდბის-ხევი.** მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. პური არ იშოვება. კარგი იქნებოდა აქ კოოპერატიულ ფურნეს გახსნიდნენ.

— **განძა.** ახლო-მახლო სოფლებში ქურდობა და საქონლის ჭირი გავრცელდა.

— **ხევი.** ვაჭრები ტყავს გვაძრობენ. სტეფან წმინდაში კოოპერატიული დუქანი გაიხსნა მაგრამ საქონელი ცოტა აქვთ. ამის გარდა მეთაურთა შორის თანხმობა არ არსებობს და სრულიად ჩავარდნილი ვართ ვაჭრების ხელში.

— **სოფ. ახმეტა** (თიანეთის მაზრა). მცხოვრებმა კოოპერატიული დუქნის დაარსება განიზრახეს, მაგრამ მას ბევრი მტრები აღმოუჩნდენ. ვაჭრების გარდა, ბევრი სხვა პირი უვიროდა, არ გინდათ კოოპერატიული დუქანი, მაგ ფულის მახეა, ფულს შეჭამენ და სარგებლობა კი არ გვექნებაო. აგიტაციამ ვერ გასჭრა და კოოპერატიული ვაჭრობა გაჩაღდა. დღეს ხალხი კმაყოფილია და მადრიელი. ვაჭრობა ნამუსიანია და საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში სადდება.

## რუსეთი.

პროტოპოპოვი ძალიან ავად გამხდარა. ის შტიურმერსა, პიტირიმისა და რეინს უნახულიათ. გაზეთები სწერენ, ეს ავადმყოფობა შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებას მოასწავებსო.

— ფინლანდიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ ფინლ. გენ. გუბერნატორს ვრცელი მოხსენება წარუდგენია ტრეპოვისათვის.

— როძიანკოსა და მარკოვი მე-2ის შორის დუელი არ მოხდება, რადგანაც სეკუნდანტების აზრით მარკოვმა შეურაცხყო არა თავმჯდომარე, არამედ მთელი სათათბირო.

— მდ. დნეპრის ქვედა მდინარეობაში მყოფი კუნძული ხორტიცა (უწინდელი გამოჩენილი „ზაპოროჟის სეჩი") გერმანელ ქვეშევრდომებისაგან გამოუსყიდავთ.

— პეტროგრადში უკვე გახსნილა შეერთებულ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა ყრილობა.

— დონის როსტოვში 21 ნოემბერს გაუხსნიათ ქალთა საექიმო ფაკულტეტი.

— როძიანკოს და სათათბიროს რამდენიმე დეპუტატს შუამდგომლობა აღუძრავთ, რათა სათათბიროდან გაძევებულ დეპუტატებს სასჯელი შეუმცირონ.

— სახელმწ. საბჭოს მოუწონებია თბილისის პოლიტეხნიკუმის პროექტი და სურვილი გამოუთქვამს, რომ თბილისში ახლო მომავალში უნივერსიტეტიც დაარსდეს.

— სამიწათ მოქმედო სამინისტროს სახელმწ. სათათბიროში ახალი პროექტი შეაქვს თავისუფალ სახელმწიფო მიწების შეძენის შესახებ. სამინისტრო 17 მილ. მანეთს ითხოვს სარწყავებისა და სამელიორაციო საშუალებათა მოსაწყობად სახელმწიფოს იმ თავისუფალ მიწებზე, რომელიც ომის შემდეგ ნაწილ-ნაწილად ომში დაავადმყოფებულთა და დასახიჩრებულთ უნდა დაურიგდეს. ასეთი მიწები მთავრობას ეგულება კავკასიაში, თურქესტანში, სამარისა და სარატოვის გუბერნიებში.

— რუსული გამსესხებელი ბანკი სპარსეთში წინადადებას აძლევს მთავრობას სპარსეთის ჩრდილოეთ პროვინციაში, ასტრაბადში შეიძინოს მამულები, რომელზედაც შემდეგში რუსის გადასახლებულნი უნდა დასახლდნენ. ამ საჭიროებისათვის ბანკს საკმარისად მიაჩნია 3 მილიონი მანეთი.

გარდაიცვალა რუსის ნიჭიერი მწერალი ა. ნ. ბუდიშჩევი.

## უცხოეთი.

გაზეთი „კურ. ლვოვსკი" იტყობინება, რომ გალიციას ავტონომიის პროექტი დაუმუშავებიათ გრ. ბობრინსკის, ბილინსკის და გრ. გოლუხოვსკის მონაწილეობით. გალიციის მმართველობის სათავეში იქნება კანცლერი, რომლის თანამდებობაზედაც გრ. გოლუხოვსკის ასახელებენ.

— სპარსეთში შაქარს საზღაპრო ფასად ჰყიდიან თურმე. ფუთი შაქარი იქ 150 კრონი (90 მანეთი) ღირებულა.

— იტალიაში სამხედრო მასალის საწყობი აფეთქებულა. და 60 კაცი უმსხვერპლია.

— პარიზში გარდაიცვალა მსოფლიო ცნობილი ფილოსოფოსი-ფსიქოლგი თეოდიულ რიბო.

პარიზშივე გარდაცლილა გამოჩენილი ეკონომისტი პოლ ლერუა-ბოლიე. მას სხვათა შორის მთელი წერილებისა რუსეთის შესახებ აქვს დაწერილი.

— პარიზში გაფიცულან მოსარეცხე დედაკაცები. მათი მოთხოვნილებების მთავრობამ საჭირო ნაწილი შეიწყნარა.


ექიმი ა. დ. მაჯავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულხუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)


## შემოწირულება.

„სინათლის" ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ შემოვიდა შემოწირულება:

1. გ. სიხარულიძისაგან . . . 100 მ.
2. პავლე უგრეხელიძისაგან . . 100 მ.
3. კოტე ფოცხვერაშვილისაგან . 25 მ.
4. თამ. ჯამბ. ორბელიანის ასულისაგან 60 მ.
5. ალ. წერეთლისაგან . . . 14 მ.
6. ილარ. ბერიძისაგან . . . 25 მ.
7. გიორგი სვანიძისაგან წიგნები 115 მ.
8. ყარაიზის ქართ. ამხანაგობისაგან 100 მ.

გამგეობა და სასწავლებლის გამგე უღრმეს მადლობას მოახსენებს ყველა შემომწირველს.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 35 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 36 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |

ექიმი მულიძე, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

# უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

# გრანული ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აჩახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოპრეი ძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.